



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 90  
 04/09/2018

90-07-4-201809041157



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №90  
 2018 წლის 4 სექტემბერი  
 ქ. ლანჩხუთი

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბი - „ლანჩხუთის გურიას“ პირობებიანი აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემასა და აუქციონის პირობებზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 127-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბი - „ლანჩხუთის გურიას“ (ს/კ: 233734126) პირობებიანი აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემაზე.

**მუხლი 2.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს აუქციონის პირობები განისაზღვროს დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**აუქციონის პირობები**

1. „მართველი კომპანია“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს:

- საფეხბურთო კლუბის ინფრასტრუქტურით (სათამაშო მოედნით, საწვრთნელი ბაზებით - სავარჯიშო მოედნებით, დამატებითი სპორტული ეკიპირებითა და ინვენტარით და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურით - სასტუმროთი, კვების ბლოკით და ა.შ.) სარგებლობის უზრუნველყოფა;

- საფეხბურთო სეზონის განმავლობაში, საფეხბურთო კლუბის სამწვრთნელო შტაბის, ფეხბურთელების, წვრთნის და ვარჯიშის პროგრამის დაგეგმვა;

- საფეხბურთო სეზონის განმავლობაში, წვრთნის და ვარჯიშის პროგრამის ფარგლებში, საფეხბურთო კლუბის სამწვრთნელო შტაბის, ფეხბურთელების, მედ პერსონალისა და მასაჟისტების და სხვა დამხმარე პერსონალის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (არანაკლებ წელიწადში ერთხელ) სამწვრთნელო/სავარჯიშო შეკრება;

- დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით - საფეხბურთო კლუბის სამწვრთნელო შტაბის, ფეხბურთელების, მედ პერსონალის, მასაჟისტებისა და სხვა დამხმარე პერსონალისთვის, სახელფასო დანამატ(ებ)ის, პრემიალური სისტემის (ჰონორარ(ებ)ის) შემოღების, დამტკიცებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში, მისი ანაზღაურების ვალდებულება;

- ექსკლუზიური მართვისა და მენეჯმენტის განხორციელების მიზნით, მისი მხრიდან დამატებით აყვანილი სხვა დამხმარე პერსონალის სახელფასო, ასევე მათთვის პრემიალური სისტემის (ჰონორარების) შემოღების, დამტკიცებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში, მისი ანაზღაურების ვალდებულება;

- საფეხბურთო კლუბში, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში, არანაკლებ 40 000.00 ლარის ოდენობით, ინვესტიციების განხორციელება და საფეხბურთო კლუბის სპონსორობა.

2. „მართველი კომპანია“ ექსკლუზიური მართვისა და მენეჯმენტის განხორციელების მიზნით, ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, როგორც სპონსორმა, განახორციელოს საფეხბურთო კლუბის დაფინანსება და უზრუნველყოს:

- საფეხბურთო სეზონის ბოლომდე საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელებით დაკომპლექტება, არანაკლებ 3-4 გამოცდილი ფეხბურთელის დამატება;

- საფეხბურთო სეზონის ბოლომდე ახლად დაკომპლექტებული გუნდის არანაკლებ ერთხელ საქართველოში და ერთხელ საქართველოს საზღვრებს გარეთ შეკრების მოწყობა;

- ფეხბურთელების საფეხბურთო/სათამაშო ეკიპირებით უზრუნველყოფა.